ჩვენი გზა

№ 38

თფილისი

1907

კვირა, 21 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

38№ ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 38

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.

მარიამ მიხეილის ასული, ივანე, ალექსანდრე, დავით და ევა ხანდამიშვილები, ოლგა ჯავახიშვილისა და სოფიო მარტირუზოვისა, პეტრე ხანდამიშვილი და მარიამ ედიბრიშვილისა და დარია მგალობლიშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს უდროოთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელი მეუღლის, მეორენი—მამის და უკანასკნელნი ძმის და სიძის

ვასილ ზაქარიას ძე ხანდამიშვილისას

და სთხოვენ მობრძანდენ 22 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ავლაბარში—„როზოვაია პლოშჩად“ № 1, საიდანაც მიცვალებულს გამოასვენებენ ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრეპავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე.

—✦ ექიმი ✦—

ივ. გომართელი

1-ლ ოქტომბრიდან ღებულობს ავათმყოფებს **თფილისში.**

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის** და **ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დილის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკიი სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

ქართული წარმოდგენა № 3.

არტისტიულ საზოგადოების თეატრში

სამშაბათს, 23 ოქტომბერს 1907 წ.

ნინო ჩხეიძის მონაწილეობით და **ელენე ანდრონიკაშვილის** მეორეთ სადებიუტოთ

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველათ ახალი პიესა

ქალაქში

პიესა 4 მოქ. იუშკევიჩისა თარგ. ვლ. ცაგარლის მიერ.

ადგენენ: ქ-ნნი—ტასო აბაშიძე, ნ გაბუნიაცაგარლისა, ელ. ანდრონიკაშვილი, ბ. ნებიერიძისა, ვ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანაშვილი, კ. ყიფიანი, დ. ჩარკვიანი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე

მზადდება წარმოსადგენათ **„ოჯახის ბურჯი“** და **„მზის ამოსვლამდე“.**

მორიგი წევრი გამგ. **ალ. ნანობაშვილი.**

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კომისია „ახალშენი“-ს საზოგადოების

პუშკინის ქუჩა, პუშკინის პასაჟი № 22.

ამით აცხადებს ყველა იმ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომელთაც არ შემოუტანიათ ამ თვის 15-დე მეოთხე თვის ხვედრი ფული და თუ კიდევაც არ შემოიტანენ ამ თვის 30-დი, მათი ადგილები გადაეცემათ მსურველთ პირველ ნოემბერსა. (3—ფ—1)

УЧИТЕЛЬ и УЧИТЕЛЬНИЦА

Готовятъ во всѣ среднія учеб. зав.—гимназіи, реальныя и землемѣрное училища, учительскій институтъ, принимаютъ готовящихся на полный пансіонъ. Репетируютъ

Адресъ: Тифлисъ, Сололаки Вознесенская, Церковный подъемъ, № 4.

(10—9) **С. А. ГРЯЗНОВЪ.**

რუსეთიდან მოსული ქალი ეძებს ადგილს, შეუძლია ყოველივე ოჯახური საქმე გააკეთოს. (5—5.—3)

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს და წრთვნის მოაწავლე ქალვაჟთ ყველა **საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის**; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: უდელნი ქუჩა № 18, თურქიას ბინა.

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ უმაღლეს და საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

„ჯადოსნური გამოცანა“

II

„ისარი“ გულ ამღვრეული და თან იმედ მიხდილი სწერს ჩვენ შესახებ: „რას გააწყობს ასეთ, უკაცრაული პასუხია, პუბლიცისტებთან აზრი, სიტყვა და კალამი“! სოც.-ფედერალისტების აზრი, სიტყვა და კალამი რომ ვერას გააწყობს ჩვენს წინააღმდეგ, ეს ახალი ამბავი არ არის და თვით ის ბატონები, რომ საეჭვო ღირსების პუბლიცისტები ბრძანდებიან, არც ეს არის დაფარული.

„ისარმა“ (№ 226) თავის მეთაურ წერილში წამოაყენა საკითხი: რით, რა მიზეზებით აიხსნება და რას ნიშნავს ჩვენებურ სოც.-დემოკრატიის გამარჯვება? წინა წერილში უკვე აღვნიშნეთ, თუ რა აზრი გამოიტანა „ისარმა“ დასახელებულ მოვლენიდან. რაც შეეხება მოვლენის თვით მიზეზების გამოკვლევას, გაზეთი მთელ მეთაურ წერილში და მერე კიდევ „პრესაში“ (№ 228), რომელიც იმავე საკითხს უტრიალებდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა—ისიც დიდის ორკოფობით: სოციალდემოკრატიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ სხვებზე ძლიერი აღმოჩნდა. მაგრამ სიტყვა „გაიმარჯვა“ თავის თავათ იგულისხმებს „სხვა დაამარცხა“, „სხვაზე (მოწინააღმდეგეზე) ღონიერი, ძლიერი აღმოჩნდა“, ასე რომ, გაზეთმა, წამოყენებულ საკითხზე: „რათ გაიმარჯვა ს. დ.—მ?“, მთელ პასუხათ მოსძებნა: „ს. დ.—მ გაიმარჯვა იმიტომ, რომ გაიმარჯვა“.

ეს არის, ბბ. ს.-ფედერალისტებო, თქვენი პუბლიცისტობა?!. ან იქნებ გგონიათ, რომ ამას პუბლიცისტიკათ გაასაღებს თქვენი „ციბრუტივით ტრიალი“, „ალჩუზე ჯდომა“, „ყომარბაზობა“, „ყირაყირა გადასვლა“, „მახინჯათ ღრეჯა“ და სხვა („ისარი“, 228) ასეთი კინტოური მასხრობა?!. აქეთ ჩვენ არ გამოგყვებით თქვენ კინტაობით, bon voyage! (მშვიდობის მგზავრობა!)

დაუბრუნდეთ „ჯადოსნურ გამოცანას“. არჩევნების შედეგებში „ჯადო“ მარტო ჩვენს სოც.-ფედერალისტებს არ დაუნახიათ. თვით რუსეთის მთავრობისათვის „ჯადოსნურ გამოცანას გვანდა“ ეს შედეგები, და არა მარტო ეხლა, არამედ წარსულ ორი დუმის არჩევნებშიდაც, და არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს რუსეთში. აბა გავიხსენოთ.

როდესაც პირველათ იმუშავებდენ საარჩევნო კანონს, მინისტრთა საბჭოს მორანდუმი დაახლოვებით სწერდა: რუსეთის სახელმწიფო აგრარიულის სამიწათმოქმედო, ქვეყანაა,მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს გლეხობა, ეს წოდება კი მუდამ ყოფილა და იქნება საიმედო საყრდნობი მართლმადიდებლობისა, სახელმწიფო წესიერების და თვითმპყრობელ მეფისა; აი, ეს აზრი უნდა წამძღვაროს წინ საარჩევნო კანონმა, მხოლოდ მაშინ იქნება იგი მიზნის შესაფერი. ეს აზრი, მართლაც წაიმძღვარა წინ 11 დეკ. 1905 წ. საარჩევნო კანონმა და რა მოხდა? „საიმედო საყრდნობ“ გლეხობამ დუმაში გაგზავნა ანიკინი, ალადინი, ჟილკინი, ს. დ. რამიშვილი და სხ. და სხ. პირველი დუმა, დუმა „ხალხის მრისხანებისა“ გარეკეს, და ხალხის საარჩევნო უფლებაც სენატის „განმარტებებით“ საკმაოდ შეზღუდეს; მასთან საარჩევნო პროპაგანდა და აგიტაცია თითქმის სულ მოსპეს და რა აღმოჩნდა? მეორე სახელმწიფო დუმაში უკიდურესი ოპოზიცია ერთი ათათ გაიზარდა. გაბოროტებულმა ბიუროკრატიამ კიდევ გარეკა დუმა, და ამ ხელათ აღარ დასჯერდა მშრომელი ხალხის საარჩევნო უფლების შეზღუდვას. მან პირდაპირ დაფხრიწა საარჩევნო კანონი და გამოაცხადა: მესამე სახელმწიფო დუმა უნდა იყოს „ჭეშმარიტი რუსული“ და ამიტომ არჩევნების გადამწყვეტიც უნდა იყვენ მხოლოდ „ჭეშმარიტი რუსებიო“. აი, მესამე არჩევნები თითქმის დამთავრებულია და... მთავრობა მაინც კიდევ არ არის სავსებით კმაყოფილი. ევროპის რუსეთის 51 გუბერნიაში არჩეულ 4920 ამომრჩევლიდან (ვიბორშჩიკი) ეკუთვნის: სოც.-დემოკრატებს—107, სოც.-რევოლიუციონერებს —20, ტრუდოვიკებს—11, მემარცხენეებს—381, ანუ სულ ერთათ მემარცხენე ოპოზიციას—519; კადეტებს და პროგრესისტებს—1145, ოქტომბრისტებს— 580, „ჭეშმარიტ რუსებს“—88. საგუბერნატოს ცნობებით „აზიურ რუსეთში“ არჩეულ 285 ამომრჩევლიდან ეკუთვნის: სოციალდემოკრატებს—12, ტრუდოვიკებს და მემარცხენეთ—5, კადეტებს და პროგრ.—60, „რუსის ხალხის კავშირს“ (ჭეშ. რუს.)—3.

თვით მესამე სახელმწიფო დუმა თავისი უმრავლესობით, მართალია, მემარჯვენე იქნება, მარა აღსანიშნავია, რომ იქ სრულიად უმნიშვნელო უმცირესობა იქნებიან ის დეპუტატები, რომლებიც ჩაწერილი არიან ამ „ჭეშმარიტ რუსებში“, ვის თავმჯდომარეს დუბროვინსაც— 3 ივნისის აქტის შემდეგ, სათანადო დეპეშა მოუვიდა: გადაეცით თქვენს რაზმებს, რომ მხოლოთ ეგენი არიან ერთათ ერთი საიმედო საყრდნობი რუსეთის მთავრობისათ.

ამ რიგათ, მთავრობა ისტუმრებდა თავის „რაზმებს“ საარჩევნო ყუთებისაკენ შავი კენჭების ჩასაყრელათ, მაგრამ იხსნებოდა ყუთები და იქიდან ამოდიოდა თეთრი კენჭები და როცა მთავრობის „რაზმებში“ ყუთები თეთრ კენჭებს ყრიდენ, ყუთებიდან ამოდიოდა შავი კენჭები. ეს ერთი შეხედვით მართლაც ჯადოსნობას გავს, ნამდვილათ კი აქ იხატებოდა ბუნებრივი სოციალური მოვლენა.

საჰ. სათათბიროს წევრი **კარლო ჩხეიძე,**

საარჩევნო ყუთების „ჯადოსნობა“ მთლათ იმას ამბობს, რომ იმპერიის ხალხის სულიერი განწყობილება ოპოზიციონურია, მთავრობის საწინააღმდეგოა. ხალხსა და მთავრობას შორის საბოლოოთ ჩატეხილია ხიდი. ცხოვრებამ წარმოშვა მრავალი ახალი საჭიროება-მოთხოვნანი, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლისაც არაფერი არ შეუძლიან გაიგოს ძველ მთავრობას, ძველი რეჟიმი ხალხს მწვავე ტკივილებს აყენებს, ხალხიც ესწრაფვის იმის დანგრევას და ახალ საჭიროებათა შესაფერ წყობილების დამყარებას. ხალხის ოპოზიციონური სული იმდენათ ძლიერია, რომ მთავრობას ვეღარ მოუხერხებია მისი ჩაქრობა თუ დამალვა, მიუხედავათ ათასგვარ ხრიკებ-სა, „ტამპონების“ თუ „სურდინებისა“ საარჩევნო ყუთები მაინც კივიან ძველი რეჟიმისადმი ღრმეს სიძულვილს.

ხალხის ოპოზიციონური სული არამც თუ არ ცცემა და არ ჩლუნგდება, პირიქით, კიდეც ფართოვდება და ღრმავდება. ქვეყნის ოპოზიციონური განწყობილება რომ იგივე დარჩენილიყო, რაც იყო მაგ. მეორე სახ. დუმის არჩევნების დროს, უეჭველია ოპოზიციისაგან არჩეულთა რიცხვი, 3 ივნისის კანონის წყალობით, მაინც უნდა შემცირებულიყო. მაგრამ ამომრჩეველთა არჩევნებმა მოგვიტანა სხვა მაგალითები. თვით „რეჩის“ თანამშრომელი სმირნოვი, რომელიც მიდრეკილია ოპოზიციის დაჩლუნგებისკენ და უკიდურეს ოპოზიციისათვის ნიშნის მოსაგებათ საბუთებს ეძებს, თვით ეს სმირნოვი იძულებულია აღიაროს, რომ 12 გუბერნიაში—ვიტ., ვლად., ვიატკ., ეკატერ., კოვ., ნიჟეგ., ორლ., პეტერბ., სმოლ., სტავრ., ტვერსკ., ჩერნიგ.,—საქმეთა მდგომარეობა ახალ კანონის გამო არ შეცვლილა, ხოლო ოთხ გუბერნიაში—მისივე სიტყვით—ვოლოგდ., კიევ., მოსკოვ., პოლტავ.—ახალმა კანონმა არამც თუ ვერ შეამცირა ოპოზიციონერთა რიცხვი, პირიქით, გაზარდა იგი და შეამცირა მემარჯვენენი. ეს აშკარა საბუთებია იმისა, რომ მცხოვრებთა ოპოზიციონური განწყობილება საოცრათ გაზრდილა და რომ ხალხის პოლიტიკური შეგნება, თვითცნობიერება მუდამ წინ მიდის.

დიახ, „ჯადოსნურ გამოცანაში“ ნათელი არის ხალხის განუდრეკელი მისწრაფება: ძალ-მომრეობა-თვითნებობის რეჟიმი უნდა დაინგრეს! მის ნაცვლათ უნდა დამყარდეს წეს-წყობილება, სადაც თვითონ ხალხი იქნება თავის-თავის კანონმდებელი და ბატონ-პატრონნი...

ნანსის კონგრესი

(წერილი პარიზიდან)

საფრანგეთის აღმოსავლეთით ქ. ნანსში რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა გამართეს კონგრესი, რომელიც 10-დან 14 ოქტომბრამდე გაგრძელდა. რადიკალები და რადიკალ სოციალისტები შეადგენენ საფრანგეთის დღევანდელ პარლამენტში უმრავლესობას, ამიტომ კლემანსოს სამინისტროც მათი წრიდან არის გამოსული. ამ ორ პარტიის მიმდევარი მასსა თავის სოციალურ მდგომარეობით ძალიან ჭრელია: მასში დაინახავთ წვრილ და საშუალო გლეხობას და მოქალაქეთ, მუშებს, მაღალ და დაბალ მოხელეთ, ასე წარმოიდგინეთ, არც მსხვილი კაპიტალისტები და მიწათმფლობელნი აკლია მ ს. კონგრესზე დაესწრენ რამდენიმე ყოფილი მინისტრები, გენერლები, აგრეთვე შესანიშნავი ჟურნალისტები და პოლიტიკური მოღვაწენი. ბანკეტები და ნადიმები ერთი მეორეს მისდევდენ, ასე რომ, ხშირათ დამსწრეთ ავიწყდებოდათ კიდეც, რომ საქმიან კონგრესზე იყვენ მიწვეული.

თავის თავათ მისახვედრია, რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები, როგორც ფაქტიურათ მამოძრავებელი ძალა სახელმწიფოში, ამ კვირაში ყურადღების ცენტრათ იქცენ. რასაკვირველია, მათი პრესა მამლაყინწასავით ყალყზე იდგა მთელ ამ დროს განმავლობაში და ამცნევდა დუნიას „უშესანიშნავეს კონგრესის“ ანგარიშებს. პირველი სადღესასწაულო სხდომა გაიხსნა მაღალ-ფარდოვან სიტყვებით, რომელნიც ყველაზე უწინ ეხებოდენ გასულ საუკუნის მე-70 წლის ომებს საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ორატორები მოთქვამდენ ამ ომებზე, რომლებიც გამოწვეული იყო მათ მამა-პაპათა სილაჩრის გამო ტახტზე წამოსკუპულ უზურპატორ ნაპოლეონ მესამის და პრუსიელ ბისმარკის ინტრიგებით, მოთქვამდენ მის მწარე შედეგებზე საფრანგეთისთვის. ისინი, ალბათ გერმანიის საზღვრების სიახლოვით დამფრთხალნი, ჩურჩულით სდებდენ ფიცს იმაზე, რომ საფრანგეთის სამხედრო ძალები გაორკეცებულ ენერგიით გააძლიერონ.

თავი და თავი მუხლი გაირჩა პირველ საქმიან სხდომაზე. იგი ეხებოდა რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების დამოკიდებულებას გაერთიანებულ სოციალისტებთან. საქმე იმაშია, რომ ნანსის და ლიმოჟის სოციალისტურ კონგრესების რეზოლიუცია მილიტარიზმის და საერთაშორისო კონფლიქტების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ პარტიებს მოსვენებას არ აძლევს. როგორც ვიცით, ამ რეზოლიუციის ძირითადი მიდრეკილება შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესმა თავისათ გამოაცხადა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების მოთმინების ფიალა თავამდე აავსო. მათი პრესა განუწყვეტლივ გაჰკივის, სოციალისტები ძირს უთხრიან რესპუბლიკას. მათი აზრით, მილიტარიზმის ბარბაროსობის წინააღმდეგ გალაშქრება სამშობლოს ქვესკნელისკენ მიაქანებს. მემარჯვენე რადიკალები საჯაროთ აცხადებდენ გაერთიანებულ სოციალისტებთან ყოველ კავშირის შეწყვეტის საჭიროებას. რადიკალთა სენის

ფედერაციამ პარიზში კიდეც გამოიტანა ერთ თავის დიდ კრებაზე რეზოლიუცია, რომელიც თხოულობს ყველა იმ სოციალისტების გაშავებას საპარლამენტო ხელმეორე არჩევნებზე, რომელიც წერილობით **არ გადათქვამენ** ნანსის და შტუტგარტის რეზოლიუციას მილიტარიზმის წინააღმდეგ. ამგვარათ, კლერიკალების „შეურიგებელი მტერნი" თითონვე მიმართავენ უკანასკნელთა ინკვიზიტორულ საშუალებას.

როგორც ვიცით, გაერთიანებული სოციალისტები მუდამ მხარს უჭერდენ არჩევნებზე მემარცხენე დემოკრატიას, ე. ი. რადიკალებს და რადიკალ-სოციალისტებს, რადგან უკანასკნელნი რესპუბლიკის და რეფორმების მომხრე იყვენ კლერიკალების და ფეოდალების წინააღმდეგ. ერთ დროს ჟორესისტებსა და მათ შორის ოფიციალური ბლოკიც იყო შეკრული. რადიკალთა სენის ფედერაციის გადაწყვეტილებით მთლათ უნდა ჩამტვრეულიყო ხიდი გაერთიანებულ სოციალისტებ და რადიკალებ-რადიკალ-სოციალისტთა შორის და უკანასკნელნი რეაქცი-ას უნდა მიკედლებოდენ აშკ. რ. თ. ჟორესმა ხუთი დიდი წერილი უძღვნა ამ კითხვას თავის გაზეთში, სადაც ენერგიულათ მოითხოვდა ხოლმე მემარცხენე დემოკრატებისაგან პირდაპირ პასუხს. ნანსის კონგრესმა უარყო სენის ფედერაციის რეზოლიუცია, რომელსაც თავგამოდებით იცავდა ბონნე. მაგრამ, ვაი ასეთ უარყოფას! მისგან მიღებული რეზოლიუცია თხოულობს ყველა იმ კანდიდატების გაშავებას, რომელნიც ესწრაფვიან ჯარის დეზორგანიზაციას მშვიდობიანობის თუ ომის დროს, დეზერტირობის ქადაგებით თუ **საერთო გაფიცვის გამოწვევით**. კონგრესის ზოგი მონაწილენი ირწმუნებიან, რომ მათ სახეში ჰერვეისტები ყავთ, მაგრამ ეს კომენტარია ვერ ჩააფუჩეჩებს უმრავლესობის განზრახვას. საერთო გაფიცვა ერთ უმთავრეს საშუალებათ არის გამოცხადებული ომის წინააღმდეგ გაერთიანებულ სოციალისტების რეზოლიუციაში, აქედან რადიკალთა ამრჩევლებს მუდამ შეუძლიათ **თავიანთი კონგრესის გადაწყვეტილების ძალით** სოციალისტებს შავი ჩაუგდონ და მათ მაგიერ „მემარჯვენენი გაიყვანონ. ერთი სიტყვით, კონგრესის რეზოლიუცია დაზელილ თიხას წააგავს, რომელიც ამრჩეველთა გაქნილ ხელში ხან რეაქციის და ხან ლიბერალიზმის ჭურჭლათ იქცევა.

მე ვერ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას სხვა მუხლებზე, რომელნიც არც ისე საინტერესოა მისთვის. მ-ელი კონგრესი უფრო პარადს წააგავდა, სადაც გამოფენილი იყვენ ფერად-ფერადი რეფორმები, რომელნიც დიდიხანია აღუთქვეს რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა თავიანთ ამრჩევლებს, მაგრამ დღემდე თითიც არ გაუნძრევიათ მათ განსახორციელებლათ. ამ აღთქმულ რეფორმათა შორის უმთავრესია: მოხუც მუშ-ისთვის და გლეხთათვის პენსიის გაჩენა, გადასახადი შემოსავალზე, სამხედრო სამსაჯულოს მოსპობა, დასავლეთ რკინის გზის ლიანდაგის შესყიდვა სახელმწიფოსაგან და სხვა.

ყველა მუხლების გარჩევის შემდეგ კონგრესმა მიიღო დეკლარაცია, რომელიც მიმართულია ხალხისადმი. იგი, სხვათა შორის, მხარს უჭერს საერთაშორისო მშვიდობიანობას და სავალდებულო მედიატორულ სამსაჯულოს სახელმწიფოთა შორის სადავო კითხვების გასარჩევათ. იგი ამბობს: „ჩვენთვის, როგორც რევოლიუციის ხალხისთვის (!), საფრანგეთი არის პროგრესის და თავისუფლების ქვეყანა". „ჩვენ უარვყოფთ— განაგრძობს იგი—კლასობრივ ბრძოლის თეორიას". მას გამოყავს რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები „ფინანსიურ ფეოდალების" სასტიკ მტრათ. ბოლოს აცხადებს დიდი რიხით: „ჩვენ ერთგული ვრჩებით მემარცხენეთა ბლოკის. ჩვენ, სხვებზე უფრო ბრძენთ (!), არ გვინდა განრისხვა ან გამოიცხვა სოციალისტურ პარტიების რომელიმე ფრაქციის".

რამდენათ „ბრძენნი" არიან რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები გაერთიანებულ სოციალისტებთან შედარებით, ამის ერთი ნიმუში უკვე დავინახეთ ზევით. რაც შეეხება მათ სიყვარულს მშვიდობიანობისა და სხვა ერის ხელუხლებლობისადმი, ეს მტკიცდება აფრიკის დასავლეთ კუთხეში, მაროკოში, სადაც მათი საყვარელი მთავრობა ფეხ-ქვეშ თელავს „პროგრესსაც და თავისუფლებასაც". ასე წარმოიდგინეთ, „რევოლიუციის ხალხს" ერთი კრინტიც არ დაუძრავს მაროკოს ავანტიურის შესახებ. არც ის მოგონებია, რომ მათმა „დიდმა" კლემანსომ 49 წლის დახავსებულ კანონის ძალით ისპანიის სოციალისტი პაბლო იგლეზიასი ეტაპით მის სამშობლოში გაგზავნა. „ფინანსიურ ფეოდალების მტერნი" ხელს აფარებენ მაროკოს ავანტიურას, რომელიც **მხოლოდ და მარტო** ამ „ფეოდალებისთვისაა" ხელსაყრელია.

ჯერ კიდევ ხშირათ შემიხვდება მკითხველთან ამ მოკრიმანჭულებზე გამობასება. ამ დღეებში უნდა გაიხსნას პარლამენტი და მაშინ გავსინჯავთ მათ სიგრძე სიგანით. ჟორესი სწერს დღევანდელ „ჰუმანიტეში": „რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა ბევრი იუმედეს ნანსში,—მოიბრძანდით, ბატონებო, პარლამენტში და შეუდგეთ საქმეს!" ვნახოთ...

აკ. ჩხენკელი.

ახალი ამბები

პატრულების გაძლიერება. გუშინ, 20 ოქტომბრებს, ქუჩებში მეტათ გაძლიერებული პატრულები დაიარებოდენ. ამ დღეს პატრულებს შეხვდებოდით ისეთ ადგილებში, სადაც წინათ იშვიათათ ნახავდით. განსაკუთრებით გაძლიერებული იყვენ პატრულები ხიდეებთან, ტრამვაის პარკთან და სხ... პატრულების გაძლიერების მიზეზათ ასახელებენ იმ ხმებს, თითქო ამ დღისათვის დანიშნული იყო გაფიცვა. ეს ხმები უსაფუძვლო აღმოჩნდა.

✦ **მორიგი კრება ქალაქის საბჭოსი.** ორშაბათის მაგიერ, მოხდება სამშაბათს, 23 ოქტომბერს საღამოს 8 ს.

განსახილველი საგნებია: 1) საჩივარი თფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებისა ქალაქის გამგეობაზე, რომელმაც საზოგადოება დააჯარიმა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, 2) საჩივარი ბეითალ ვართანიანცისა ქალაქ. გამგეობაზე, რომელმაც ვართანიანცი სამსახურიდან დაითხოვა და 3) ქალაქის გამგეობის მოხსენება გამგეობის საზოგადოებასთან შეთანხმების გამო ფუნიკულერის კონცესიის შესახებ.

✦ **ლექსების კონფისკაცია.** 20 ოქტომბერს, საცენზურო კომიტეტის მინდობილობით სტამბების ინსპექტორმა სტამბა „სორაპანში" კონფისკაცია უყო ევგენი დვალის შედგენილ და გამოცემულ სასიმღერო ლექსებს „სიმართლის ხმას". წაიღეს 1119 ცალი წიგნაკი.

✦ **ხმოსნების კერძო თათბირი ქალაქის თავის კანდიდატის შესახებ.** 19 ოქტემბერს ქალ. თვითმართველობის დარბაზში მოხდა კერძო თათბირი ქალაქის თავის კანდიდატის შესახებ; კრებას დაესწრო 43 ხმოსანი, წამოყენებული იყო ორი კანდიდატი: ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და ა. მ. არღუთინსკი, კენჭის ყრის დროს ბარათებით ჩერქეზიშვილმა მიიღო 31 თეთრი, არღუთინსკიმ 8 თეთრი, 4 თავი შეიკავეს. ამნაირათ, ყველაზე მეტი შანსი ქალაქის თავათ არჩევისა აქვს ჩერქეზიშვილს.

✦ **ტუსაღების გაქცევა.** როგორც იტყობინებიან, 18 ოქტემბერს საღამოს, დაახლოვებით 10 ს. ბათუმსა და რიონს შუა, არ იციან რომელ სადგურზე, გაქცეულა 5 პატიმარი.

✦ **ილია ჭავჭავაძის ფონდის გამო.** 14 ოქტომბერს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლათ დაარსებულ ქალთა წრის კრებაზე არჩეულ იქნა კომისია. 11 წევრის მაგივრათ, ამოირჩიეს მხოლოდ 5. დანარჩენების არჩევა დანიშნულია ორშაბათს, 22 ოქტომბერს, იმავე შენობაში საღამოს 7 საათზე.

✦ **მადლობის გამოცხადება.** რაჟდენ დოლიძე, გადასახლებული ვიატკის გუბერნიაში, მადლობას უცხადებს ვასილ ფანჯარაძეს, რომელმაც 14 მანეთი და 40 კაპ. დახმარება აღმოუჩინა მას.

✦ **მუშის დათხოვნის გამო.** როგორც გადმოვცეს, ლიმონადის ქარხნების მუშათა პროფ. კავშირის ბიუროს ბოიკოტი გამოუცხადებია გენადის ლიმონადის ქარხნისათვის, რადგან ქარხნის პატრონს არ მიუღია უმიზეზოთ დათხოვნილი მუშა და არც მიუცია მისთვის ოთხი თვის ჯამაგირი, როგორც ეს დაწესებულია ასეთი შემთხვევისათვის.

✦ **გლეხების გაჭირვება.** ჩვენ რედაქციაში შემოვიდენ თიონეთის მაზრის ს. ალოტის მცხოვრებნი და შემოგვჩივლეს, რომ ისინი განიცდიან დიდ შეწუხებას მებატონის იულო ჭავჭავაძის ვექილის მიტრო როსტომაშვილისაგან და მეველე ფოცხვერა სამუკაშვილისაგან. ეს ვაჟბატონები ღალას ერთი ორათ უმატებენ და თუ გლეხმა თავის ვადაზე ვერ შეიტანა ფული, უყიდიან ძროხას, თივას და სხვას.

✦ **საპროტესტო კრება.** ნაძალადევის მცხოვრებნი ძლიერ აღელვებულნი არიან იმის გამო, რომ ქალაქის გამგეობას განუზრახავს აუცილებლივ მოკლე ხანში აკრიფოს საიჯარო გადასახადი. მცხოვრებლები აპირებენ კრების მოხდენას, გამგეობისათვის პროტესტის გამოსაცხადებლათ.

✦ 19 ოქტომბერს, ნაძალადევში საღამოს 5 ს. მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა კრება. ითათბირეს იმის შესახებ, თუ როგორ ემჯობინება მოეწყოს პურის საცხობი კოოპერატიული საზოგადოება. 20 ოქტომბერს იქნება გაგრძელება ამ კრებისა; ყველა მომხრეა ზემოხსენებული საზოგადოების დაარსებისა.

✦ **თფილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** არსენ ტესაშვილი და ნიკო ონიაშვილი, როგორც მავნე პირნი საზოგადოებისათვის, გადასახლებულ იქნენ ურალის მხარეში სამხედრო წესების მოხსნამდის.—სახლის პატრონი თფილისში კატაევი, საადრესო სტოლის შესახებ სავალდებულო წესების დარღვევისათვის, დაჯარიმებულ იქნა 50 მან.—ავაქ მიქაანიანცი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისა და სახელმწიფო მშვიდობიანობისათვის, გადასახლებულ იქნა ორენბურგის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდის.—მამედ ალი ზეინალ ოღლი და ალი ისა კერბალაი ჯაბარ ოღლი, იარაღის შესახებ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის პოლიციის მოხელეთა შეურაცყოფისათვის დატუსაღებულ იქნენ ორი თვით.—თავრიზელი ჰუსეინ-ისმაილ-ოღლი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის, იგზავნება თავის სამშობლო—სპარსეთში.—სოფ. ახალგორის მცხოვრები ნ. ამირაღოვი, მუხრაანის—გიორგი ლეკალაშვილი, დუდაანთ კარის—დუშა დუდაური, აშიგაბო ფერხული, არახვეთის გაბო ბურდული და ქ. დუშეთის სამსონ ქიაჲრიშვილი, როგორც მავნე პირნი საზოგადო და სახელმწიფო მშვიდობიანობისათვის იგზავნებიან ორენბურგის გუბერნიაში ადგილობრივი პოლიციის მხედველობის ქვეშ სამხედრო წესების მოხსნამდის.—გლეხებს: პავლე სკოროხოდოვს და იოსებ გრიმინს, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირთ, აეკრძალათ

საკვირაოთ

ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო.
ხალხური.

ბ-ნ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დამარცხებამ ერთი დავიწყებული ამბავი მომაგონა.

ჩვენი სოფლის მახლობლათ ერთი დიდი ფუღუროიანი მუხა მახსოვს. ამ მუხის, ხეს წმიდა გიორგის ეძახოდენ და მის ფუღუროში მუდამ გამოულევლათ იყო ვერცხლისა და სპილენძის წვრილი ფულები, რაღაც პატარ-პატარა ფართლეულის ნაჭრები, ადამიანის თმები, ძველი ცული, ნაჯახი და სხვა სამუშაო იარაღები... ამ ხის ფუღუროში თურმე ძველთაგან წმიდა გიორგის ხატი იყო დადებული; ხალხს ამ ხატის სიძლიერე სწამდა და ყოველ გაჭირვების დროს მას მიმართავდა საფარველისა და შემწეობისათვის. დაეკარგებოდა გლეხს რამე—ამ ხატს თხოვდა შველას, გაუხდებოდა ვინმე ავათ—ამ ხატისაკენ გარბოდა, ვისიმე დაშინება სურდა—ამ ხატით აშინებდა: მუხის წმიდა გიორგი დაგსჯისო.

ერთი სიტყვით, ეს მუხის წმიდა გიორგი იყო ხალხის თვალში მსაჯულიც, ექიმიც და შურის მაძიებელიც.

გაიარა დრომ; ხალხში თანდათან მოიკიდა ფეხი განათლებამ და გუშინდელმა ცრუ-მორწმუნე გლეხმა დღეს კრიტიკულათ დაუწყო ცქერა იმ მუხის წმიდა გიორგს, რომლის ღვთაებრივი ყოვლის შემძლებლობა გუშინ ასე უცილობელ ჭეშმარიტებათ მიაჩნდა. მუხამ თანდათან დაკარგა თავისი ღვთაებრივი ავტორიტეტი, მისმა თაყვანის-მცემელთა რიცხვმა დღითი დღე იკლო და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ხალხმა კიდეც მოაჭრევინა ის მუხა, რომლის ერთი სახელიც უწინ შიშის ზარსა ჰგვრიდა მთელ ქვემო იმერეთს.

დღეს ქართველი ხალხი უკვე გამოერკვა ცრუ-მორწმუნეობის ბურუსიდან, მან უარყო ძველი კერპები. მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ქართველ ფედერალისტებზე. იმათში ჯერ კიდევ ძლიერია კერპთაყვანის-ცემის საჭიროების გრძნობა. მათ შეიგნეს, რომ მათი სიცოცხლის დედა-ძარღვი მხოლოდ ხალხის თვალების აბმა და ცრუ-მორწმუნეობის გავრცელებაა და სოციალდემოკრატიის პოლიტიკური გამარჯვებით გულდათუთქულმა ფედერალისტებმაც ამ ერთათ-ერთ იარაღს მიმართეს. ნამდვილი პოლიტიკური მუშაობის ნაცვლათ მათ შექმნეს თავისი ფეტიში, თავისი მუხის წმიდა გიორგი და ქართველ საზოგადოებას მიაჩეჩეს ხელში სათაყვანოთა და საქებ-სადიდებლათ. ეს ფედერალისტების მუხის წმიდა გიორგი პეტერბურგში კარგათ ცნობილი ადვოკატი ლ. ნ. ანდრონიკაშვილი გამოდგა. ამ ადამიანის სახელს ლოცულობდენ ამ ორი წლის განმავლობაში ქართველი ფედერალისტები, ეს სახელი დაუსახეს ქართველებს სათაყვანო ფეტიშათ, ამ სახელით აშინებდენ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ.

— რაც არის, სულ ანდრონიკაშვილია; თუ ის დუმაში წავიდა—საქართველოს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს... არ დარჩენილა არც ერთი საქები ეპიტეტი, რომლითაც ანდრონიკაშვილის სახელი არ შეემკოთ.

ორჯელ წამოაყენეს ქართველმა ფედერალისტებმა მისი კანდიდატურა „ვიბორჩიკათ", მაგრამ ამ ქება-დიდებამ არ გასჭრა: ანდრონიკაშვილი ორჯერვე დამარცხდა. ამ მესამე არჩევნების დროს კი ფედერალისტებს აუსრულდათ გულის წადილი: რაც მათ ვერ შესძლეს, ის ქართველმა მსხვილმა მემამულეებმა ადვილათ მოახერხეს და ანდრონიკაშვილი „ვიბორშჩიკათ" გავიდა. ამ გარემოებამ ფედერალისტები წელში გამართა, პოლიტიკური სიცოცხლის გამქრალი იმედი კვლავ გაუღვიძა. ქართველმა ფედერალისტებმა, როგორც პარტიამ, დიდი ხანია დაკარგა არსებობის იმედი და დღეს მხოლოდ ამა თუ იმ პირის ავტორიტეტებს ეღაუჭება ფონს გასასვლელათ. წელს მაინც მათ ძალიან კარგი ამინდი დაუდგათ: ჭავჭავაძის სიკვდილი ჩინებულათ გამოიყენეს მოწინააღმდეგეთა დასამცირებელ საგიტაციო მასალათ; ახლა მათ მიერ ფეტიშათ აღიარებული ბ-ნი ანდრონიკაშვილი გავიდა „ვიბორშჩიკათ", აქედან სახელმწიფო დუმამდე ხომ ერთი ნაბიჯია. ამ გარემოებამ ქართველ ფედერალისტებს გაუღვიძა სოციალდემოკრატიის დამარცხების იმედი. ასტეხეს განგაში: ანდრონიკაშვილი და ანდრონიკაშვილი! ეს არის მარილი საქართველოისა, ეს არის დიდი ორატორი, გამოჩენილი ადვოკატი, ფილოსოფოსი... ერთი სიტყვით, ბ-ნი ანდრონიკაშვილი ნამდვილი მუხის წმინდა გიორგის ხატი შეიქნა, მაგრამ უბრალო ხატი კი არა, თუ პართენ გოთუას დავუჯერებთ, ეს ხატი თვით ცნობილი კუნო ფიშერის მიერ მოჭედილ-მოვარაყებულია.

ყველა გულის ფანცქალით მოელოდა ამ ძლიერი ხატის ნახვას. ბოლოს დადგა განსჯა-განკითხვის დღე და ეს მუხის წმინდა გიორგიც გამოგვეცხადა. სულგანაბული მოელოდა ყველა, თუ რას იტყვის, რა ნუგეშსა გვცემს ბ-ნი ანდრონიკაშვილი, რა იმედებს გაგვიღვიძებს მომავლისადმი, რა მალამოზე მიგვითითებს ჩვენი წყლულების მოსარჩენათ. ბ-ნმა ანდრონიკაშვილმა იგრძნო კრების კანონიერი სურვილი. კრების გახსნისთანავე ზე წამოიჭრა და საზოგადოებას თავი გააცნო. მაგრამ ადვილი წარმოსადგენია კრების განცვიფრება, როცა ამ ქართველ ფედერალისტების მუხის წმინდა გიორგიმ, რაღაც ღვთაებრივი ნექტარის ნაცვლათ, ხალხის წყლულების საუკეთესო მკურნალათ ჩვენი კარგი ნაცნობი კადეტები აღიარა.

ბ-ნმა ანდრონიკაშვილმა მოუხსნა თავი კადეტების ქებას... კადეტებს აქებდა იმ თფილისში, რომლის ქუჩებიც არა ერთხელ მორწყულა მებრძოლი ხალხის სისხლით, ამ პოლიტიკურ ქამელეონებს აქებდა იმ თფილისში, რომელმაც ერთობ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუსეთის განახლების საქმეში და, რომელმაც ღირსეულათ დაიმსახურა რევოლიუციონური ქალაქის სახელი. მერე ვინ აქებდა კადეტებს? აქებდა ის ბ. ანდრონიკაშვილი, რომელსაც ეს ორი წელიწადია ქართველი ფედერალისტები ერთათ-ერთ საქართველოს მხსნელ მუხის წმიდა გიორგათ გვისახავდენ. ნუ თუ ამაზე მეტი გაროზგვა შეიძლება იმ პოლიტიკური პარტიისა, რომელმაც ბ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურა ორჯელ წამოაყენა და, რომელიც თავის თავს სოციალისტურსა და რევოლიუციონურ პარტიას ეძახის?

— თქვენ არ იცნობთ კადეტებს; თქვენ ცუდი აზრისა ხართ მათზე, რადგანაც სოც.-დემოკრატებმა მათ სახელი გაუტეხსო. კადეტების პროგრამა ერთათ-ერთი რეალური პროგრამაა დღეს, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ და ცხოვრებაში მის განხორციელებას მტლეთ დავედოთო.

ასეთი იყო პოზიცია ბ. ანდრონიკაშვილისა. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ მაზე ხელს აიღებდენ თვით ქართველი ავტონომისტ-ფედერალისტები და ეტყოდენ:

„Плыви, въ бѣдѣ не спасшій Ругу,
Дубовый Богъ! Плыви себѣ, плыви!"

მაგრამ მათ ეს არ მოისურვეს; ეს ვაჟბატონები ბოლომდე დარჩენ ერთგულ მეხოტბეთ ბ-ნ ანდრონიკაშვილს და მათ თავისთავს სასიკვდილო ოქმი შეუდგინეს. ამ კრებაზე ანდრონიკაშვილის მეხოტბეობა ბ-ნ გ. გვაზავამ იკისრა. მაგრამ ბ-ნ გვაზავა მალოროსულ მელოდრამის გმირს უფრო გავდა, ვიდრე სერიოზულ დამცველს, აი, იმ მელოდრამის გმირს, რომელიც თანაც არაყსა ყლაპავს და თანაც თავის ტრაბახა ამხანაგს უმოწმებს: Такъ, такъ, такъ-ო. ბ-ნ გ. გვაზავას ამ კრებაზე არაყი არ მიუროთმევია, მაგრამ „ტაკ, ტაკო" კი ბევრი იყვირა. ის ისე გაიტაცა კადეტი-ანდრონიკაშვილის ქებამ, რომ ბ-ნ ი. ს. ჯ-ს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის სამი მეოთხედი ციხეებსა და საპყრობილეებში გაუტარებია და თავი ხალხის თავისუფლების საქმისთვის შეუწირავს, ცოდვათ ჩაუთვალა: რატომ კადეტ ანდრონიკაშვილს კრიტიკულათ შეხება გაუბედე და ხმა სოც.-დემოკრატიის კანდიდატს მიეციო.

დამსწრეთ ანდრონიკაშვილის პირველ გაცნობაზედვე იქვე შეეპარათ ამ ძლიერი ხატის მართლა სიძლიერეში. ასტყდა ბრძოლა და დამარცხდა ანდრონიკაშვილი, დამსწრეთა თვალწინ მოიჭრა ეს ფედერალისტების მუხის წმიდა გიორგი, მათი ერთათ-ერთი იმედი. დამარცხდა ანდრონიკაშვილი და მათთან ერთათ დამარცხდენ ქართველი ფედერალისტები.

ამაში ჩვენთვის ახალი არაფერია და იქნება ამ საგანზე კრინტიც არ დაგვეძრა, რომ ბ-ნ ანდრონიკაშვილის გაცნობა ჩვენ სულ სხვა მხრით არ გვაინტერესებდეს.

ქართველ ფედერალისტების მიერ სოციალდემოკრატიის საწინააღმდეგო მთელი არსენალი სულ ორ სიტყვაში გამოიხატება.

— ქართული ენა და მამული!

ქართული ენა უარვყავით, გადაგვარების გზაზე დადექით, მამული არ გიყვართ!

აი, ის ბრალდება, რომელიც სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ წამოაყენეს „ჭეშმარიტ ქართველებმა". თქმა არ უნდა, ეს მხოლოდ საგიტაციო ფანდებია და თვით ქართველ ფედერალისტთა ლიდერებსაც არა სჯერათ ამ ბრალდების სინამდვილე; მაგრამ საქმე ხალხია, რომლის მოსატყუებლათ და თვალების ასახვევათ არის მოჭორილი მთელი ეს ბრალდება. ასეთი ფანდები ჩვენთვის არაფერ საშიშს არ წარმოადგენს, რადგანაც ქართველმა ხალხმა არა ერთხელ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ის ასეთ დემაგოგიურ ხრიკებს ყურს არ უგდებს და თავისი გულის მესაიდუმლეთ მხოლოდ სოციალდემოკრატიას

თფილისში ცხოვრება, მის გუბერნიაში და ზაქათალის ოლქში სამხედრო წესების მოხსნამდის.—თფილისის სახლის პატრონი განოვის ქუჩაზე № 12 მდივანი, სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის საადრესო სტოლის შესახებ, დაჯარიმებულ იქნა 50 მან. სახლის პატრონები თფილისში: მაღალოვი ალექსანდროვის ქუჩაზე № 20, სათავადაზნაურო ბანკის შენობის გამგე მატინოვის ქუჩაზე № 10—22 და ვართპატრიკოვი ნიკოლოზის ქუჩაზე № 57 სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის საადრესო სტოლის შესახებ, დაჯარიმებულ იქნენ თითო 25 მან.

მეფის მადლობა

თფილისის პატრიოტულ საზოგადოებას.
(გაზ. „გოლოს კავკაზა“, № 424).

თფილისის პატრიოტულ საზოგადოებას კავკასიის რუს-მცხოვრებთაგან დეპუტატის არჩევის შემდეგ ხელმწიფისათვის გაუგზავნია შემდეგი დეპეშა:

„დიდო ხელმწიფევ, ყოვლად შემძლებელმა უფალმა ყურად იღო ვედრება ჩვენი და შენც, ჩვენმა სათაყვანებელმა, ჩვენმა საყვარელმა თვითმპყრობელმა, ისმინე ვედრება ჩვენი და მოგვანიჭე კავკასიის რუს-მცხოვრებლებს სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლის ყოლის უფლება. ჩვენის კუთხის „ჭეშმარიტ რუსების“ გული აღივსო უსაზღვრო მადლობის გრძნობით, შენის უმაღლესის მოწყალების გამო და იმ იმედით, რომ ღირსეული პასუხი გავცემთ შენს მეფურ მოწოდებას. მაგრამ სამშობლოს მტრებმა აქაც დაბრკოლებათა ზღუდე აღმართეს შენის წმინდა ანდერძის განხორციელების გზაზე: კრამოლამ აქაც გაიკეთა თავისი მტაცებლური ბუდე, განსაკუთრებით ახალგაზდა რუსთა შორის. შენი თვითმპყრობელურ ნების განხორციელებამ მოითხოვა ჩვენი დიდებულ სამშობლოს „პატრიოტებისაგან“, რომელნიც სამარემდე შენი ერთგულნი არიან, მედგარი და თავგანწირული ბრძოლა. მაგრამ რუსეთის ყოვლად მოწყალე და დიდებულმა უფალმა ამ შემთხვევაშიაც ისმინა ვედრება ჩვენი: შენ მიერ დანიშნულ დღეს, 14 ოქტომბერს, „ჭეშმარიტ რუსებმა“ თფილისის „პატრიოტულ საზოგადოების“ სახით, თავის თანამოაზრე ბა- კოლეგებთან, ბათუმელებთან და სხვებთან ერთად, მეოთხედ და საბოლოოთ გავიმარჯვეთ და ავირჩიეთ წარმომადგენლათ კავკასიის რუს-მცხოვრებთაგან კაცი, შენი ერთგული, „ჭეშმარიტი პატრიოტი“, ხალხის შვილი. აღავლენენ რა ამ ჟამათ საქართველოს ეგზარხოსთან ერთად მადლობის ლოცვას უზენაესის ტახტის მიმართ, ამიერ-კავკასიის რუსნი უსაზღვრო ერთგულების გრძნობებს წარმოგზავნიან შენთა ფერხთა მიმართ, დიდებულო ხელმწიფევ, და ევედრებიან უფალს მოუვლინოს ჩვენს სამშობლოს ამ ორი წლის განმავლობაში განაწამებს მშვიდობა და კეთილდღეობა“.

ამ დეპეშაზე მისმა უდიდებულესობამ, ხელმწიფე იმპერატორმა თავის ხელით წააწერა შემდეგი რეზოლიუცია:

„გულწრფელათ გმადლობთ“.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვარანცოვ-დაშკოვს აცნობა ეს უმაღლესი მოწყალება.

მუშათა შორის

ტრაქტირების და სარდაფების მოსამსახურეების გაფიცვა. ტრაქტირების და სარდაფების მოსამსახურეებმა ხაზეინებს შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს: 1. რვა საათის სამუშაო დღე; 2. მოისპოს მუშაობა კვირაობით და დიდ დღესასწაულებში, როგორიც არის: შობა, ახალ-წელიწადი, აღდგომა, აღდგომის მეორე დღე; 3. დაწესდეს პირველი მაისის დღესასწაულობა; 4. წელიწადში ერთხელ მკათათვიდან პროცენტების მომატება, როგორც მიღებულია; 5. მოისპოს ფორმალურათ მუშის ამხანაგათ აყვანა; 6. ხაზეინებს და მუშებ შორის სადავო კითხვების გადასაწყვეტათ დაარსდეს მომრიგებელი კომისია, ორივე მხრივ თანასწორ რიცხვით არჩეულ პირებიდან; 7. მიეცეს მოსამსახურეებს ჰიგიენურათ მოწყობილი ბინა ან ბინის ფულათ 2 მ. 50 კ.; 8. სამუშაოთ თითო მუშას მიეცეს წელიწადში: ა) ორი ხალათი, ბ) ორი შალვარი, გ) ჩუსტები, რამდენიც მოუნდება წელიწადში; 9. მიეცეს გასაკრეჭი და სარეცხის ფული; 10. გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვნილი, მიეცეს გაფიცულებს გაფიცვის დროის ჯამაგირები და პურის ფული; 15. ოქტომბრიდან მოსამსახურეები გაიფიცენ. გაფიცვა მშვიდობიანათ მიდის.

კვაჭაძე.

ოლგინის საბებიო ინსტიტუტი. ამ დაწესებულებაში სულ 16 მუშა-მოსამსახურე ვართ. რამდენიმე წლის წინეთ, ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, რომ ჩვენ თვითონ ვერ ვგრძნობდით ჩვენს ადამიანობას. ჩვენ უფრო იმ უსულო მანქანებს წააგავდით, რომლებსაც არც ფიქრი შეუძლიან, არც ლაპარაკი და რომლების დანიშნულებაც ის იყო, სხვა გაეძლო, სხვა გაემდიდრებინა და თავის სარგებლობაზე ფიქრიც არ შეეძლო. განვლო დრომ და განვლო ჩვენმა ასეთ არასასურველმა მდგომარეობამაც. ამოძრავდა ხალხი, ავმოძრავდით ჩვენც; მოითხოვეს ადამიანური უფლებები მუშებმა და ჩვენც შევუერთდით მათ ამნაირ გამოფხიზლებას. ასე რომ, შეერთებულმა ძალამ მუშებისამ შეანგრია ის ვიწრო ჩარჩო, სადაც მუშა დამონავებული ბატონ-პატრონისაგან, როგორც შავში გალიაში ჩამწყვდეული, ფთხრიალებდა. მოვიპოვეთ ადამიანური უფლებები: რვა საათის სამუშაო დღე; ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა. უფლება მუშის დათხოვნის და მიღების, ყოფილიყო თვითონ მუშის საქმე. ასეთი ჩვენი წინსვლა დიდათ არ ესიამოვნებოდათ, რასაკვირველია, იმ პირთ, რომელთაც მუშა ადამიანი არ ჰგონიათ, ამისათვის მუშის ასეთ ნაბიჯებს ისინი ალმაცერათ უცქერიან. ისინი სცდილობენ ისარგებლონ ყოველივე შემთხვევით, როდესაც შეეძლებათ მუშის პიროვნების ფეხ-ქვეშ გათელვა; მათ მიერ მოპოვებულ უფლებების. ერთი სიტყვით უკუგდება. ასე იქცევიან. ჩვენ დაწესებულების ერთ განყოფილების ექიმები: უკვე ცნობილი საზოგადოებისათვის ბ. მ. ზ. ქანანოვი და ქალ. მ. კ. იოსელიანი. მას აქეთ, რაც რეაქცია გაბატონდა, მათ სიხარულს საზღვარი აღარ აქვს. წინეთ თუ ორი სიტყვის თქმაც კი ვერ ებერხებოდათ ახლა ისინი გახურებულ აგიტაციას ეწევიან; განსაკუთრებით ქალ. იოსელიანისა: „თქვენი დრო წავიდა (მიმართავს მუშებს) „დემოკრატიამ“ ჩაილულის წყალი დალია, ვინც თქვენი მოთავეები იყვნენ, ციხე-ციმბირში სხედან, თქვენი მეცადინეობა, ეს მხოლოდ წყლის ნაყვაა რაც უფლება გაქვთ, ეს მხოლოდ, უკანონოთ, თქვენ მიერ მითვისებულია და სხვა“ ასე გვათვითცნობიერებს „ქართველი“ ქალი ქ. იოსელიანი. თუ, რომ ქ. იოსელიანს ჩვენი არ ერიდება ფედერალისტების მაინც არა სცხვენიათ!... ნუ თუ მამულს ამისთანა შვილები გეზრდება!.. სიტყვებით საქციელს ეს ექიმები არ სჯდებიან და მოქმედებისათვის მიუყვიათ ხელი. რამდენიმე დღის წინეთ ჩვენ დავითხოვეთ ერთი მუშა, რადგანაც ეს მან დაიმსახურა და ჩვენ ამის უფლებაც გვქონდა. დათხოვნილის ალაგას, როგორც ამ სამს წელიწადში ხდება ხოლმე, წავეყენეთ ჩვენ მიერ აღნიშნული კანდიდატი ბ-ნ ქანანოვს და ქ. იოსელიანს, ეს ჩვენი საქციელი წინეთაც არ მოსწონდა ხომ ახლაც არ მოეწონათ და ჩვენი ამხანაგი უკუაგდეს და მის ალაგას მოიყვანეს—არ ვიცით რა უფლებით—სხვა მუშა; ამნაირათ, მათ უტიფრათ შელახეს ჩვენ მიერ ბრძოლით მოპოვებული ჩვენი მიუცილებელი უფლება. ჩვენ ამის გამო გამოუცხადეთ ჩვენი პროტესტი და წინადადება მივეცით ასეთ გამოლაშქრებისათვის მათ თავი დაენებებიათ, მაგრამ მათ, თურმე, ეს სასაცილოთაც არ ყოფნისთ. ამნაირათ, მათი საქციელი ბადებს ჩვენში ერთნაირ მღელვარებას, რასაც, შესაძლებელია, ცუდი შედეგი მოყვეს, რის მიზეზიც ეს 1—2 ვაჟბატონ-ქალბატონი იქნებიან.

მუშა არჩილა

რუსეთის ამბები

განსაკუთრებული წესების შესახებ. უმაღლეს სფერაში ხელ-ახლა აღიძრა საკითხი განსაკუთრებულ წესების მოხსნის შესახებ იმ ადგილებში, სადაც ეს შესაძლებელია. უმრავლესობა იმას მომხრეა, რომ განსაკუთრებული წესები არ მოხსნან, ხოლო უმცირესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ უკეთუ დუმა მთავრობასთან შეთანხმებით იმუშავებს, შეასუსტონ განსაკუთრებული წესები, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ყველგან დატოვებულ იქნეს საგანგებო დაცვა. უმრავლესობის აზრით რეპრესიების შესუსტება სავალდებულო დადგენილებების გაუქმებით უნდა დაიწყონ, ხოლო განსაკუთრებულ წესების გაუქმება ამის შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

ყოველ შემთხვევაში, გადაწყვიტეს მოემზადონ. ყველა ადგილების უფროსებს აცნობეს შეკრიბონ ცნობები ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ და შეატყობინონ თავიანთი აზრი განსაკუთრებულ წესების გაუქმების შესაძლებლობის შესახებ.

სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი. სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე ჯგუფმა წამოაყენა საკითხი, რომ სახელმწიფო საბჭომ მეორეხელ განიხილოს სიკვდილით დასჯის შესახებ საკითხი, რომელიც პირველმა დუმამ შეიმუშავა. ჯგუფის აზრით, საბჭომ ოფიციალურ მიზეზების გამო უარყოს კანონ-პროექტი, პირველი დუმის გარეკის გამო. ამიტომ სპეციალურ კომისიის მიერ განხილული პროექტი თვით საბჭოს არ განუხილავს.

ახალი გადასახადების პროექტი. რადგან სახელმწიფო ხაზინა მეტად ცუდ მდგომარეობაშია, სამინისტრომ გადასწყვიტა შეიტანოს მესამე დუმაში მეორე დუმის საფინანსო კომისიის მიერ უარ-ყოფილი კანონ-პროექტი ახალი გადასახადების დაწესების შესახებ (ელექტრონის ძალა და სხვ.)

ქალთა მიტინგი. ამ დღეებში პეტერბურგში მოხდა ქალთა პროგრესიულ კავშირის მიტინგი. მიტინგზე დაადგინეს: მიმართონ პეტიციით მესამე დუმას და მოითხოვონ ქალთა სრულიად უფლებრივ გათანასწორება. პეტიციის შედგენა მიენდო საგანგებო კომისიას, რომელმაც უნდა წარადგინოს განსახილველათ უკანასკნელ საერთო კრებაზე.

მთავრობის დეკლარაცია. როგორც ამბობენ, მთავრობის სფერებში გადაწყვეტილია მომავალ დეკლარაციაში შეეხონ განსაკუთრებულ წესების საკითხს. მთავრობა განაცხადებს, რომ მთელ რუსეთში განსაკუთრებულ წესების შემოღება არა ნორმალურია, მაგრამ მათი შემოღება აუცილებელი იყო, მთავრობა სიამოვნებით გააუქმებს ამ წესებს, როცა ეს შესაძლებელი იქნება. ამასთანავე აცნობებენ, რომ ახლო მომავალში მთავრობა შეიტანს დუმაში ახალ პროექტს განსაკუთრებულ წესების შესახებ, რომლითაც ეხლანდელ სხვადასხვა წესების მაგიერ ერთი წესი იქნება შემოღებული.

სიფრთხილე. უკანასკნელ ხანებში მთავრობა ძალიან ფრთხილათ არის. ის ყველგან და ყოველთვის კრამოლას ხედავს, კრამოლა ელანდება. არც გასაკვირია ასეთი სიფრთხილე; კრამოლა ყველგან მყოფელი შეიქნა, ყველგან იპოვნა ნიადაგი. ამიტომ ეხლა, როცა ახლად ჯარში გასაწვევი სალდათები მიჰყავთ, პოლიციებისთვის დაუვალებიათ დაუყოვნებლივ შეკრიბონ ცნობები, ამ ახლად ჯარში გასაწვევ ყმაწვილების პოლიტიკურ კეთილ საიმედოობის შესახებ და წარუდგინონ სამხედრო საკრებულოებს.

„რუსთა კავშირის“ საოცარი დადგენილება. „რუსთა კავშირის“ მოღვაწეობას უკანასკნელ ხანებში არა აქვს დასასრული. ის უკვე ერთ უძლეველ პარტიათ გადაიქცა. უკანასკნელ ხანებში კიდეც შეიმუშავეს პროგრამა. როგორც ვიცით, მათი თავსატეხი კითხვაა ებრაელთა საკითხი. ამ საკითხის გადაჭრას დიდი დრო და ენერგია მოანდომეს და ბოლოს პროგრამაში შეიტანეს ერთი მუხლი, რომელიც საარაკო და საოცნებო რამ არის:

„ყოველივე საშუალება მივიღოთ, რომ დუმაში წამოყენებულ იქნას საკითხი ებრაელთათვის ცალკე სახელმწიფოს დაარსების და ყველა მათგანის ამ სახელმწიფოში გადასახლების შესახებ. ვეცადოთ ხელი შევუწყოთ მთავრობას, რათაც უნდა დაუჯდეს გადაასახლოს ებრაელები ცალკე სახელმწიფოში და საბოლოოთ განწმინდოს მათგან რუსეთი“. სენსაციური გადაწყვეტილებაა, მარა ეჭვს გარეშეა, რომ ამით „ჭეშმარიტი რუსები“ მიზანს მიაღწევენ, რევოლიუცია გაქრება და ძველი დრო მოუბრუნდება. თუ „ჟიდები“ აღარ იქნებიან, აღარც რევოლიუცია იქნება.

ბერი ილიოდორის მოღვაწეობის შედეგი. ცნობილი ბერი ილიოდორე აგერ რამდენი ხანია ცხარე აგიტაციას ეწევა ჭეშმარიტ რუსებში ებრაელების წინააღმდეგ. მთელი მისი მჭერმეტყველება მიმართულია იმისკენ, რომ ამხედროს ბნელი მასსა „ჟიდების“ ასაწიოკებლათ და პოგრომების მოსახდენათ. მის ამგვარ მოღვაწეობას უბრალოთ არ ჩაუვლია და ჩქარა სასურველი ნაყოფი გამოიღო. ებრაელებს, სადაც კი მოხერხებულია, აწიოკებენ. მაგრამ დღემდე თუ მათ წინააღმდეგ მოზრდილი „რუსები“ იყვნენ ამხედრებული, ეხლა ილიოდორეს ქადაგებას პატარა ბიჭებზედაც მოუხდენია გავლენა. ამ გავლენის წყალობით პირველი დებიუტი ბიჭებს ვოლინის გუბერნიაში გაუმართავთ. სადამო ხანს ებრაელებს სასაფლაოზე მიქონდათ ბავშვი დასამარხათ. ბიჭები თავს დაესხნენ მათ, ჩაუქრეს ფარნები და უმოწყალოთ დაუწყეს ყველას ცემა. ხელიდან გააგდებინეს მკვდარი ბავშვი და სანამ პოლიციელები მოვიდოდნენ ბურთივით ათამაშებდნენ. ილიოდორეს სიხარულს საზღვარი არ აქვს ამ ამბის გამო.

საარჩევნო ხელშეკრულობა. ქალაქ კამენეც-პოდოლსკში მემარჯვენეები დიდ მზადებას შეუდგნენ, რომ თავიანთი კანდიდატი გაეყვანათ დუმაში. ამ მიზნით მათ შემდეგი ხელშეკრულობა შეადგინეს:

„ჩვენ რუს, მსხვილ მემამულეთა წარმომადგენელნი ერთი მხრით, და პატივცემული სამღვდელოება მეორე მხრით, შეწევნითა ღვთისათა ვსდებთ შემდეგ პირობას, რომელიც სავალდებულოა ყველა ჩვენგანისთვის: 1) გავიყვანოთ დუმაში უსათუოთ რუსი, არც ერთი პოლონელი და არც ებრაელი; 2) არ წამოვაყენოთ არც ერთმა მხარემ—რევოლიუციონერები, კადეტები და სხვა მისთანები 3) დეპუტატების ადგილებს ვანაწილებთ ასე: 5 მსხვილი მემამულე; 3—სამღვდელოება; 1—მოქალაქე და 4 გლეხი; 4) თავისუფლათ კენჭის მიცემა აკრძალულია.

თანაგრძნობის გამოცხადება. როგორც ვიცით, ამ რამდენიმე დღის წინათ სამსახურიდან გადააყენეს ეპისკოპოზი ბარონი როპპი. რამდენიმე დღეში მასთან შესულა 6000 პოლონელი და თანაგრძნობა გამოუცხადებია.

არჩევნების წინააღმდეგ რეპრესიები. დაიწყო თუ არა არჩევნები, ქ. ტვერის ადმინისტრაცია საქმეს შეუდგა. ამომრჩეველთა არჩევის შემდეგ პოლიციამ პროგრესიულ ამომრჩევლებზე იერიში მიიტანა. დაატუსაღეს მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი ბიკოვი და დანარჩენები სასტიკათ გაჩხრიკეს. გლეხი ამომრჩევლები ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოში მიიწვიეს და იქ „დამოძღვრეს“.

საზღვარ-გარეთ.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

გერმანია. ესსენის სოც.-დემ. პარტეიტაგი. არც კი გასულა სრული ერთი თვე შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესის შემდეგ და იმავე გერმანიაში გაიმართა ადგილობრივ სოციალდემოკრატიის წლიური პარტეიტაგი, რომელიც გაგრძელდა 15-დან 21 სექტემბრამდე. ქ. ესსენი, სადაც პარტეიტაგს ქონდა ალაგი, მდებარეობს რეინის პროვინციაში, რომლის მაღალი ინდუსტრია მთელი ევროპის კონტინენ-

---

აღიარებს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ჯერ კიდევა სწამთ ქართველი ფედერალისტების გულ-წრფელობა და მათი ასეთი სიყალბე ჯერ ვერ შეუმჩნევიათ.

ენა და მამული არა გწამთო!

მერე მართალია ესა?

ვისაც ჩვენი ცხოვრებისათვის თვალყური უდევნებია და დაკვირვების უნარი ქონია, იმისთვის ცხადია ამ ბრალდების სიყალბე. აბა ვინ არ იცის, რომ ქართველი სოციალდემოკრატი, განათლებულია იგი თუ უბრალო დღიური მუშა, უეჭველათ კარგათ ლაპარაკობს ქართულათ. აქ გასაკვირიც არაფერია, რადგანაც სოც.-დემოკრატია ეს თვით ხალხის პარტიაა და ხალხი, რა თქმა უნდა, თავის სამშობლო ენაზე ილაპარაკებს. სოციალდემოკრატი ინტელიგენტიც, თუ მას უნდა ხალხს ემსახუროს და თავისი პარტიის სასარგებლო წევრი იყოს, იძულებულია ზედმიწევნით შეისწავლოს ის ენა, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს. ეს გარემოება სრულ საშუალებას აძლევს სოც.-დემოკრატიის წევრებს ხალხს დაუახლოვდენ, მისი ავ-კარგი გაიგონ და თავისი გააგებინონ. ქართული ენა და ლიტერატურა არის ის ძლიერი იარაღი, რომლის საშუალებით სოც.-დემოკრატია ელაპარაკება ქართველ ხალხს. ამიტომაც საქართველოში სოც.-დემოკრატიის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას თან მოყვა ქართული პრესის განვითარება, მისი სრული დემოკრატიზაცია და ხალხთან დაკავშირება. სწორედ ამით აიხსნება, რომ საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც სოც.-დემოკრატია ძლიერია, ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სიყვარულიც მეტია. სოციალდემოკრატია თვით ხალხში მომუშავეა, ეს თვით ხალხის პარტიაა, ეს იმ მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მესაიდუმლე და ჭირისუფალია, რომელთაც უსამართლო ისტორიამ თავისი ოფლითა და შრომით სხვისი კვება და რჩენა არგუნა. ამ ხალხს დრო და შეძლება არა ქონდა ხავა და სხვა ენები შეესწავლა. ის ძალაუნებურათ უნდა დაკმაყოფილებულიყო თავისი მშობლიურის ენითა და ლიტერატურით; მაშასადამე, ის მოძღვარნიც, რომელთაც მისი მესაიდუმლეობა სურდათ, ძალა-უნებურათ უნდა გაბრძმედილიყვნენ ამ ენისა და ლიტერატურის ცოდნაში.

მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ქართველ ფედერალისტებზე, იმ ფედერალისტებზე, რომელნიც სოც.-დემ. უსაყვედურებენ ქართულ ენის უარყოფას და თვით კი, ეს ენა აღარ იციან. აბა ვინ არ იცის, რომ ქართველი ინტელიგენცია, რომლის უმეტესობაც ქართველ ფედერალისტობას ჩემულობს და წამდაუწუმ თვალ-ცრემლიანი გაიძახის: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდებიო“, ძლიერ მწყრალათ რძანდება ქართულ ენასთან. ჩვენი „განათლებული“ საზოგადოება, ქალი თუ კაცი, ახალგაზდა თუ მოხუცი, თუ ქართულათ დაგიწყებენ ლაპარაკს, უეჭველათ რუსულათ უნდა გაათავონ. ისინი ისე საშინლათ ურევენ ერთმანეთში ქართულსა და რუსულს, რომ მათი ლაპარაკის მოსმენა ნამდვილი ტანჯვაა ადამიანისათვის. მათზე სწორეთ რომ ზედ გამოჭრილია აკაკის სიოხუნჯო ლექსი.

სკუკა მკლავს, სკუკა მაწუხებს
მიხუთავს დიხანიასა;
გადავბრუნდები პასტელზე
დავიწყებ მეჩტანიასა...

ასე ლაპარაკობენ ქართულათ ქართველ ფედერალისტთა უმეტესობა, რომელთაც საქართველო და ქართველის სახელი თავის მონოპოლიათ გაუხდიათ. ერთ-ორხელ დაესწარით მათ კრებებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ქართული ენის უცოდინარობა ნიშნობლივი თვისებაა თვით ამ ენის მოუპატიჟებელი დამცველებისა. ამის უტყუარი საბუთი ჩვენ ამ დღეებში ბ-ნმა ლ. ანდრონიკაშვილმა მოგვცა. 14 ოქტომბერს დეპუტატის არჩევის წინ ის ამრჩევლებს ეცნობოდა და რუსულათ მიმართა მსმენელთ. რადგანაც ამრჩეველთა უმეტესობა ქართველები იყვნენ, მათ მოისურვეს—ორატორებმა თავისი სიტყვები ქართულათ გადაგვითარგმნონო. ბ. ანდრონიკაშვილმაც იკისრა ამ მისთვის უსიამოვნო მოვალეობის ასრულება, მაგრამ ნეტავი აღარ ეკისრა: მისი ქართულიდან ვერავინ ვერაფერი გაიგო და ბოლოს იძულებული შეიქნა უარი ეთქვა და გამოეცხადებია: ქართული არ ვიციო. სოც.-დემოკრატიის კანდიდატი კი ჩინებულათ ლაპარაკობდა, როგორც რუსულათ, ისე ქართულათ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც კ. ჩხეიძე ქართველი სოც.-დემოკრატია, მას ქართველ ხალხში უმუშავნია და მისთვის ქართულის ცოდნა სავალდებულოა. ჩვენ არც ის გაგვკვირვებია, რომ ანდრონიკაშვილმა ქართული არ იცის. მაგრამ ერთი უნდა ვკითხოთ ქართველ ფედერალისტებს: ამ თქვენმიერ საქართველოს მხსნელათ გამოცხადებულ ანდრონიკაშვილს, რომელსაც ქართული ენა არა სცოდნია, სძულს თუ არა ქართული ენა? ადგია თუ არა ის გადაგვარების გზას?

თქვენ, რა თქმა უნდა, ლ. ანდრონიკაშვილს ასეთ მომაკვდინებელ ცოდვებს არ მიაწერთ. თქვენ მას ენისა და მამულის სიძულვილს არ უსაყვედურებთ. თუ ეს ასეა, სოციალდემოკრატიამ რა დააშავა, რომ ენისა და სამშობლოს მტერს ეძახით? რაღა დააშავა-მეთქი იმ პარტიამ, რომელმაც ეს ენა დაამშვენა, რომელმაც ამ ენაზე გააცნო ქართველ ერს მისი აუტანელი მდგომარეობა და სალათას ძილიდან გამოარკვია? თუ კი ის, ვისაც ქართულ ენაზე ლაპარაკი, წერა და კითხვა არ ეხერხება, საქართველოს მხსნელათ მონათლეთ, ამ ენის მცოდნე სოციალდემოკრატიამ რა დააშავა?

ეჰ, რას იზამთ? ქართველმა ხალხმა დიდი ხანია სთქვა: „ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო“.

ყარიბი.

ტის ინდუსტრიას უდგას სათავეში. და სწორედ ესენში, რომელსაც სამართლიანათ „მუშების ქალაქს“ უწოდებენ, გერმანიის უძლიერეს პარტიას, სოციალდემოკრატიას, არ დაურჩა დარბაზი, სადაც უნდა გაემართა მას თავის პარტეიტაგი. პროლეტარიატი უთავშესაფროთ დარჩა იქ, სადაც იგი ყოველ წლობით მილიონებს ჰქმნის რამდენიმე კაპიტალისტის საჯიბავათ. ადგილობრივმა მესაკუთრეებმა არ დაუთმეს თავიანთი დარბაზები „წითელ პარლამენტს“ და უკანასკნელი გაიმართა ესენის მახლობელ სოფელში, სადაც მუშებმა სადღესასწაულო სხდომისათვის ერთი ვეებერთელა კარავიც კი გააკეთეს თავიანთი ხარჯით, რომელმაც დაიტია ხუთი ათასი სული.

ბევრს ეგონა, რომ წრევანდელ არჩევნების ხარალის შემდეგ სოციალდემოკრატიის პარტეიტაგს გულგატეხილობა და დაღვრემილობა დაეტყობოდა. ჯერ კიდევ ვილჰელმ მეორემ ამცნო ქვეყანას, გერმანიის სოციალდემოკრატია საშინლათ „გადავაჯირგვლეთო“. მაგრამ ამით შეიქნა მტრების სიხარული. გასულ საანგარიშო წელში გერმანიის სოციალდემოკრატიას უფრო ღრმათ გაუდგამს ხალხში ფესვები, ვინემ როდისმე. განსაკუთრებით **არჩევნების შემდეგ** გადაშლილა მისი ძლიერება. წევრთა რიცხვს დიდათ უმატნია, მარტო პარტიულ პრესის მკითხველთა რაოდენობა **ერთ მილიონს** გადასცილებია. ერთი სიტყვით, ავ ენას ისიც შეუძლია თქვას, რომ იანვრის დამარცხება სოციალდემოკრატიას მოხდენია!

პარტეიტაგის უმთავრესი მუხლი, რასაკვირველია, ხსენებულ საარჩევნო დამარცხებას ეხებოდა. რეფერენტათ, როგორც ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში, ბებელი იყო, რომელმაც თავის დაუშრეტელ მჭევრმეტყველობით და ახალგაზდურ აღფრთოვანებით მსმენელებზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. მის გრძელ სიტყვაში ვერ გაიგებთ არამც თუ სასოწარკვეთილებას, არამედ უბრალო საყვედურსაც. მან ჩინებულათ დაახასიათა თანამედროვე გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური მიდრეკილება, მიუთითა კლასობრივ განხეთქილების უმწვერვალეს გამწვავებისკენ, რასაც ნათლათ ამტკიცებს ბურჟუაზიულ პარტიების ერთსულოვანი გამოლაშქრება სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ გასულ არჩევნებზე. ბებელმა სამართლიანათ განაცხადა, რომ პარტიული ტაქტიკა, რომელიც დრეზდენის პარტეიტაგმა შეიმუშავა, ზედგამოჭრილი გამოდგა თანამედროვე პირობებში და მას შეცვლა არ ეჭირვება. რევიზიონისტები, რომელნიც დიდი ხნით გამოვიდენ თავიანთ „სოციალისტურ თვიურში“ ამ ტაქტიკის წინააღმდეგ, ჩვეულებრივ სოროში შეძვრენ და არც კი შეეცადენ მათგან გამოწვეული აურ-ზაური რამდენათმე მაინც გაემართლებიათ. ასე წარმოიდგინეთ, დებატები ამ მთავარ მუხლის შესახებ ძლიერ მოკლე და უმნიშვნელო იყო. პარტეიტაგი ერთსულოვნათ ეთანხმებოდა ბებელს, ასე რომ ლაპარაკი მეტათ მიაჩნდა. კონსერვატიულ-ლიბერალურ ბლოკის ხანაში რევიზიონისტების ოპორტიუნიზმი არაფერი მოსატანი გამოდგა.

საინტერესო დებატები გამოიწვია ერთმა ინციდენტმა, რომელიც მოხდა წელს რეიხსტაგში. ს. დ. ფრაქციის წევრმა ნოსკემ ერთბაშათ წარმოთქვა რეიხსტაგში პატრიოტული სიტყვა, რომელსაც ყოველი ბურჟუა მოაწერდა ხელს. მისი სიტყვით, სოციალდემოკრატია მუდამ მზათაა ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთათ თავგამოდებით მიიღოს მონაწილეობა გერმანიასა და უცხო სახელმწიფოთა შორის ატეხილ ომში. მან არ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ პროლეტარიატი სულაც არ არის დაინტერესებული მხარი დაუჭიროს გერმანიის გაბატონებულ კლასებს მათგან გამოწვეულ ავანტიურებში. ხშირია ისეთი მაგალითები, როცა თავდასხმელი იძულებულია დამხვედრის ვერაგულ პოლიტიკის მიზეზით იარაღს მიმართოს. ასე იყო შორეულ აღმოსავლეთში, სადაც იაპონია იძულებული შეიქნა რუსეთის ბიურო-კამარილას მადა აელაგმა; ასე იყო სამხრეთ აფრიკაში, სადაც ტრანსვაალის და ორანჟეს რესპუბლიკები შეებენ ინგლისელებს. ნოსკეს სიტყვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაშინ პარტიულ პრესაში. პარტეიტაგზე მარქსისტების ჯგუფმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც აალებდა რეიხსტაგის ფრაქციას, პასუხსაგებ კითხვების გარჩევის დროს მას ნაცადი ორატორები გამოეშვა ტრიბუნაზე. ამ რეზოლიუციამ ცხარე კამათი გამოიწვია მარქსისტებ და რევიზიონისტებ შორის. ბებელი მედგრათ გამოექომაგა ნოსკეს და მოითხოვა რეზოლიუციის უარყოფა, რომელიც, მისი აზრით, უნდობლობას უცხადებდა ფრაქციას. პარტეიტაგი დაეთანხმა მას და რეზოლიუცია უარყო, თუმცა აქედან სულაც არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, თითქო იგი კმაყოფილი იყო ნოსკეს უკომენტარო სიტყვით.

როგორც ვიცით, შტუტგარტის კონგრესზე კოლონიალურმა კითხვამ გერმანიის დელეგაციაში შფოთი გამოიწვია. პირველათ იგი მიემხრო უმრავლესობის რეზოლიუციას, მაგრამ, როცა აღმოჩნდა, რომ რევიზიონისტები გერმანიის დელეგაციას ბურჟუაზიულ-კოლონიალურ პოლიტიკას ახვევდენ თავზე, მაშინ უკანასკნელი დიდ უმრავლესობით ლედებურის წინადადებას მიემხრო, რომელიც თავიდან ბოლომდე უარყოფს თანამედროვე კოლონიალურ პოლიტიკას. კონგრესის შემდეგ კაუცკიმ თქვა ერთ თავის რეფერატში საქსონიაში, რომ გერმანიის დელეგაციის რყევა გამოიწვია იმ **გარემოებამ**, რომ მასში წევრთა ნახევარი პროფესიონალების წარმომადგენელნი იყვენ, პროფესიონალების წევრები კი უმეტეს ნაწილათ არ ითვლებიან პარტიაში. პარტია კი, მისი აზრით, შეურიგებელი მტერია კოლონიალურ პოლიტიკისა. კაუცკის მოსაზრება საუცხოვოთ გამართლდა ესენში. მთელი პარტეიტაგი ერთხმათ მიემხრო შტუტგარტის რეზოლიუციას. ასე წარმოიდგინეთ, თვით დავიდი და მისი ამხანაგიც-კი მის მომხრეებათ გამოვიდენ. მაგრამ ისინი რევიზიონისტები არ იქნებოდენ, რომ შემდეგ კიდევ არ გამოელაშქრებათ პარტიულ პრესაში და მარქსისტებისთვის „ბდღვირი არ აედინათ“. დავიდი მაინცში და ბერნშტეინი ბერლინში, თავგამოდებით იცავენ კულტურულ ერებისაგან უკულტურო ერების „აპეკუნობას“. ამ კითხვას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ოდესმე, რადგან იგი ახალ მომენტს წარმოადგენს ინტერნაციონალში.

ესენის პარტეიტაგმა გაარჩია აგრეთვე ერთი ახალი კითხვა ალკოჰოლიზმი და მის წინააღმდეგ ბრძოლა. „ნოიე ცეიტის“ მეორე რედაქტორმა ვურმმა შესანიშნავი რეფერატი *) წაიკითხა ამის შესახებ. მან თავიდან აიცალა სპეციალისტ-ექიმების ცალმხრივობა და კითხვას შესაფერი საზოგადოებრივი მნიშვნელობა მისცა. პარტეიტაგმა მიიღო ძლიერ ბეჯითათ შემუშავებული რეზოლიუცია, რომელიც ასახელებს საშუალებებს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ და ავალებს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს მათ ცხოვრებაში გატარებას.

პარტეიტაგმა დააარსა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დაწესებულება, ეგრეთ წოდებული პრესის ბიურო. უკანასკნელი შედგება რამდენიმე სამუდამო თანამშრომელ-კორესპონდენტისაგან და ოთხი რედაქტორისაგან, რომელთაც ირჩევს პარტიის გამგეობა. პრესის ბიუროს დანიშნულება ასეთია: მიაწოდოს მთელ სახელმწიფოს პარტიულ პრესას მნიშვნელოვანი ცნობები პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ხასიათისა; უშოვოს პარტიულ პრესას კანონმდებლობითი და სტატისტიკური მასალა, გამოსცეს ცნობათა ფურცელი პარტიისათვის ცნობების მისაწოდებლათ, ისარგებლოს სახელმწიფო ტელეფონით, ტელეგრაფით და ფოსტით. პრესის ბიუროს აკრძალული აქვს მიაწოდოს პოლიტიკური წერილები, აგრეთვე წერილები ტაქტიკურ და თეორიულ კითხვებზე. ბიუროს ინახავს პარტიის საერთო კასა. ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის ხარჯს იხდიან ის გაზეთები, რომელნიც მათი შემწეობით ღებულობენ ცნობებს.

ასეთ ფართე საფუძველზე დამყარებული დაწესებულება ამტკიცებს ნათლათ, რომ გერმანიის „გადაჯირგვლებული“ სოციალდემოკრატია შეურყევლათ და შეუდრეკელათ მიდის თავის მიზნისკენ. ვინც გერმანიის სოციალდემოკრატიაში დროებით ზიგ-ზაგებს ან უმნიშვნელო არა-სასურველ მიდრეკილებებს აზვიადებს და მათ გადაღმა პარტიის ძლევამოსილ წინსვლას ვერ ამჩნევს, იგი პოლიტიკურათ ბეცია, და მისი ექიმობა ამაოთ წყლის-ნაყვაა.

ერთი ვინმე.

*) ძალიან კარგი იქნება, თუ ვინმე იკისრებს მის ქართულათ გადათარგმნას.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

19 ოქტომბერი

არჩევნები

პეტერბურგი. წინასწარი გამთანგარიშებით, ქალაქის მეორე კურიაში ხმის აბსოლუტური უმრავლესობა (22,723 ხმა 44829-იდან) მიიღო პავლე ნიკოლოზის ძე მილიუკოვმა, კადეტთა პარტიის კანდიდატმა. ხმების საბოლოოთ დათვლა მოხდება დღეს. დანარჩენ კანდიდატთაგან არავის არ მიუღია აბსოლიუტური უმეტესობა.

მოსკოვი. პირველ კურიაში არც ერთ კანდიდატს აბსოლიუტური უმეტესობა არ მიუღია; მეორე კურიაში, წინასწარი ანგარიშის თანახმათ, არჩეული არიან: თეოდორე ალექსანდრეს ძე გოლოვინი (მეორე დუმის თავმჯდომარე) და ვასილი ალექსანდრეს ძე მაკლაკოვი (მეორე დუმის წევრი), კადეტთა პარტიის კანდიდატები.

მოსკოვი. დამატებით იუწყებიან, რომ პირველ კურიაში მიცემულია 4290 ხმა. გუჩკოვმა მიიღო—2091, პოდევაკომ—2034, დოლგორუკოვმა—1812, შჩეპკინმა—1792, შმაკოვმა—409, დებელიევმა—399. რადგან საჭირო ხმის უმეტესობა ვერვინ მიიღო, ამიტომ 23 ოქტომბერს ხელმეორეთ იქნება კენჭის ყრა.

მეორე კურიაში მიცემულია—16407, კომაროვსკიმ მიიღო—5872, ბელკინმა—5752, ბარტენევმა—2148, სმირნოვმა—1944, პოკროვსკიმ—2168, სკვორცოვმა—2211.

არხანგელსკი. ვოლოსტებიდან დეპუტატად აირჩიეს ივანე სიმ. ტომილოვი, 33 წლისა უპარტიო პროგრესისტი, გლეხი. მეორე დეპუტატათ აირჩიეს ნიკოლოზ ვლად. მეფოდიევი, კ. დ. 38 წლისა, ექიმი.

ვორონეჟი. გლეხებმა აირჩიეს პეტრე ზაქ. სტარასტენკო, მემარჯვენე, მომხრე მონარქისტულ პარტიისა, გლეხი, ყოფილი მამასახლისი. მემამულეებმა აირჩიეს სერგეი მიხ. შიდლოვსკი, დეისტ. სტატ. სოვეტნიკი, აზნაური, მომხრე ოქტომბრისტებისა. მოქალაქეთა მხრით არჩეულია ალექსი ნიკ. ბეზრუკოვი, ზომიერი, მომხრე მონარქისტულ პარტიებისა, ყოფილი ქალაქის თავი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გლეხებმა აირჩიეს მაკარ ნიკ. გრიშინი, უპარტიო, ხმოსანი ადგილობრივ თვითმართველობისა. მემამულეებმა აირჩიეს ალექსანდრე ალ. საველიევი, კ. დ. წევრი პირველ და მეორე დუმასა.

პეტერბურგი. დუმის წევრებად საგუბერნიო საარჩევნო კრებამ აირჩია კრაუზე, ოქტომბრისტი, სმირნოვი, ოქტომბრისტი, ტროფიმოვი, ოქტომბრისტი და პოლეტაევი ს. დ.

ვლადიმირი. აირჩიეს ვორონინი, სოც. დ., მუშა, ჩერნოსვიტოვი, კ. დ. ყოფილი წევრი პირველ და მეორე დუმისა, ზუბკოვი, ოქტომბრისტი, ბულაკოვი, მონარქისტი, პავლოვი, მირნოობნოვლენეცი.

ხარკოვი. აირჩიეს თავ. გოლიცინი, ოქტომბრისტი, მაზრის მარშალი, პროფესორი ვიაზინინი, წევრი „რუსთა კავშირის“, ნიკანორ დეუსი, მემარჯვენე. ვოლოსტებიდან აირჩიეს ვასილ შურკანოვი, მემარცხენე, მუშებმა აირჩიეს პავლე მატიუნინი, ოქტომბრისტი, ნაფიცი ვექილი.

კურსკი. აირჩიეს მიწათმფლობელებმა გრაფი ვლადიმერ დორრერი, თავმჯდომარე რუსთა კავშირისა, გუბერნიის მარშალი. ქალაქმა აირჩია სტუპინი, უპარტიო მემარჯვენე, ბანკის დირექტორი. მიხაილ სუშკოვი, წევრი რუსთა კავშირისა. საერთოთ აირჩიეს ნიკოლოზ ევ. მარკოვი, რუსთა კავშირის წევრი, იაკობ კრივცოვი, რუსთა კავშ. წევრი, ნიკოლოზ შეტოხინი რუს. კავშ. წევრი, გიორგი შეჩკოვი, რუს. კავშირის წევრი, ვასილ როჟდესტვენსკი, რუს. კავ. წევრი, მღვდელი, ვასილ ლუკინი, რუს. კავ. წევრი, თავ. ივანე ვიქ. ბარიათინსკი, რუსთა კავშირის წევრი. ყოფილი წევრი პირველ და მეორე დუმისა, დოლჟენკოვი გაამშვეს.

ვორონეჟი. მეოთხე დეპუტატათ აირჩიეს ქალაქიდან ევგენი ნიკ. ბელოზეროვი, მღვდელი, მემარჯვენე. საერთოთ აირჩიეს ვიქტორ ივ. სტემპოვსკი, ოქტომბრისტი, ალექსი მიხ. სუსკი, მემარჯვენე ოქტომბრისტი, ბლაღოჩინი, ევგრაფი პეტ. კოვალევსკი, ოქტომბრისტების მომხრე. ყოფილი წევრი მეორე დუმისა კადეტი შანგარიევი გაამშვეს.

ვოლოგდა. გლეხებმა აირჩიეს ივანე ნიკ. პოპოვი, 29 წლისა გლეხი, მემამულეებმა აირჩიეს ბლაღოჩინი ნიკოლოზ აკუპოვი, 70 წლისა. ქალაქმა აირჩია ანატოლი არ. კუზმინ, აზნაური, მემარჯვენე.

—აირჩიეს ალექსი ალ. პოპოვი, 66 წლისა, ბლაღოჩინი; სტეფანე ნიკ. კლოჩკოვი, მემარჯვენე: იაკუბოვი, „რუს. კავ.“ წევრი.

კოვნო. აირჩიეს ფრანც კუზკო, მემარცხენე: გლეხთა კურიიდან კაზიმირ ალ. ზავიშა. პროგრესისტი ნაციონალისტი; მიწათმფლობელთაგან—ნაფეტელ მარ. ფრიდმანი, კ. დ. ნაფ. ვექილი, ებრაელი; ეგნატე ოს. პოყელდო, პროგ. ნაციონალისტი გლეხი.

კიევი. პირველ კურიაში აირჩიეს რუს ამრჩევლებმა უპარტიო, ნიკოლოზ პროცენკო, მემარჯვენე ექიმი; მეორე კურიაში საჭირო ხმის უმეტესობა არავის მიუღია, ამიტომ ხელმეორეთ არჩევნები დაინიშნა 23 ოქტომბერს.

ოდესა. აირჩიეს იოსებ იაკ. პერგამენტი, ნაფიცი ვექილი. ყოფილი წევრი მეორე დუმისა. დანარჩენ წევრებს 24 ოქტომბერს აირჩევენ.

ვილნო. აირჩიეს სტანისლავ გილ. მიცკევიჩი, უპარტიო ნაციონალისტი კატოლ. მღვდელი: ქალაქმა აირჩია იოსებ სტან. მონტვილი, უპარტიო ნაციონალისტი, სტანისლავ ალ. ვინიუკოვიჩი, მეორე დუმაში პოლშის კოლოს დამაარსებელი; გენრის იპ. სვენციცკი, უპარტიო ზომიერი; მათე მგ. ციუკელის, უპარტიო ზომიერი.

ხარკოვი. აირჩიეს ალექსი სტანისლავსკი, „რუს. კავშირის“ წევრი, ბლაღოჩინი; აზ. ნიკოლოზ ანტონოვი, მონარქისტი; იურიი ზახ. კაპუსტინსკი, მონარქისტი; ნიკოლოზ სავიჩი, მონარქისტი, მარშალი; ვასილ ბანტიში, მონარქისტი; პეტრე ნეჟლიუჩევი, მონარქისტი.

ბახმუტი. შჩერბინოვის მადნებში, საიდუმლო ბინაზე ბომბა გასკდა. მოკლულია 2, დაჭრილი 1. დამნაშავე მიიმალა. ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ბომბა, პატრონები და ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

ვარშავა. დღეს დილით კრახმალნი ქუჩაზე მიმავალ პატრულს, გოროდოვოის და ორ სალდათს თავს დაესხა შვიდი შეიარაღებული და სამივე დასჭრეს, მაგრამ ალყა შემოარტყეს და ყველანი დაიჭირეს.

სარატოვი. 18 ოქტომბერს სადგურ ვოლჟსკში მუშაობის დროს ერთმა ტუსაღმა ხევიტოვმა მოკვლა დაუპირა ციხის ზედამხედველს, მაგრამ თვითვე მოკლულ იქნა.

ნოვგოროდ სევერსკი. მძიმეთ დასჭრეს თავის ბინაზე ბოქაული.

ხარკოვი. მძიმეთ დასჭრეს დირექტორი კრამატორის ზავოდის ბოტლერი.

სევასტოპოლი. სამხედრო-საოლქო სასამართლომ 12 წლის კატორღა მიუსაჯა მატროს ბორობცს ნოემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

ვარშავა. პატრულებმა წასწყდენ დრუჟინიკებს კრახმალნი ქუჩაზე, რომლებმაც თავი შეაფარეს № 73 სახლს. სროლის დროს მოკლეს გოროდოვოი და დასჭრეს ორი სალდათი. დანარჩენი 20 კაცი დაიჭირეს.

ოდესა. მძიმეთ დასჭრეს გოროდოვოი.

ჩერნიგოვი. 16 ოქტომბერს ვიღაცებმა განიზრახეს იმ მატარებლის დამტვრევა, რომლითაც დღიური შემოსავალი მიქონდათ. განზრახვის ასასრულებლათ ორგან ლიანდაგზე რკინები დააწყვეს, მაგრამ ორსავე ადგილას მატარებლებმა დაუზიანებლათ გაიარა.

ირკუტსკი. ცეცხლი წაეკიდა ციმბირის ბრიგადის სადგომს და დაიწვა 3 სალდათი.

პეტერბურგი. გაზ. „როსსია“-ში დაბეჭდილია დოკუმენტები, რომლებითაც მტკიცდება, რომ რუსეთის და საზღვარ-გარეთის ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა მინისტრებისა, რევოლიუციონერიანკელ ჩერნიაკის სიკვდილის შესახებ გამოგონილი და შედგენილია იუსტიციის სამინისტრო კანცელარიის მოსამსახურის ალექსანდრე სოლოვიოვის მიერ. „როსსიაში“ სხვათა შორის დაწვრილებით მოყვანილია სოლოვიოვის განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ შეადგინა ეს მიწერ-მოწერა

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ ზ. გიორგობიანი**

განცხადებანი

ახალი სამოსახლოები

იყიდება

ვერაზე, ახლად შექმნილი ადგილი მაკაროვებისაგან, რომელიც მდებარეობს მალაკნებსა და „სალხინოს“ შუა. ეს ადგილი მდებარეობს მუშტაიდის გაღმა, მშვენიერი მდებარეობა აქვს. შიდ გადის ლისის შოშის გზა, გვერდზე უვლის სამხედრო შოშის გზა და იქვე გადის ის გზა, რომელიც უნდა ხიდით შეუერთდეს მომავალში მიხაილოვის უქჩას. საბურთალოზე ამისთანა ძვირფასი ადგილი აღარ დარჩენილა ხალხისათვის ხელმისაწდომათ. თითო სამოსახლო 108—120 ოთხკუთხედ საჟენს შეიცავს. ვადა ფულის გასტუმრების ერთი წელიწადია და უნდა თვე და თვე შემოტანილ იქნას მეთორმეტედი ნაწილი. (ფულის შემოტანის ვადა იწყება 1 სექტემბრიდან). ადგილები დამტკიცდება ამ ვადის გასვლის შემდეგ. ფასები ნაირ-ნაირია, ოთხკუთხედ საჟენზე ქუჩების გამორიცხვით, კანტორის და სხვა ხარჯების გამორიცხვით, გარდა დამტკიცებისა 3 მანეთიდან დაწყებული 7 მანეთამდე. შვიდ მანეთიანი სამოსახლოები უკვე გაყიდულია.

პატივისცემით: სევასტი მ. გაჩეჩილაძე, ბაგრატ თოროზოვი და ი. ბახტაძე.

(10—ფ.—9)

ავათმყოფებს და სუსტებს
„სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს, ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლი და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ შედეგია ბროუნ-სეკარის შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას, ბუასილს და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

ავადმყოფთა წერილები.

„**მ. ხ. ბ. ახობაძევ!** თითმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლ-ნაკლულევანებით. უკანასკნელს წელიწადს ნერვები ძალიან ამეშალა. რაც დრო გადიოდა, უარესათ ვხთებოდი და მაკლდებოდა ჯანი, დამეკარგა მადა ჭამისა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებმა ტკივილი, თავის ტკივილი. ამ ხუთის წლის განმავლობაშიდ ვღებულობდი სხვადასხვა წამლებს —გამოწერილს სხვადასხვა ექიმებისაგან, მაგრამ ამათ ჩაიარა წამლობამ და დავკარგე მორჩენის იმედი. ამ დროს გავიგე, რომ თფილისში იყიდება წამალი ყოველგვარ ავათმყოფობისა— „სპერმატინი“ ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელთან მოსკოვის ივანოვის ლაბორატორიისა. მოსკოვის ქუჩ. № 4. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი იღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება, გავთავისუფლდი ყველა იმ ავათმყოფობისაგან, რომლითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს. იმედი მაქვს, რომ სპერმატინი მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულ უბედურებას, თუ რომ გადამარჩენს ექიმების რეცეპტებს და ვიზიტებს, ჩემთვის უსარგებლოს. პატივის ცემით **ვ. „მნაცაკანოვისა“** თფილისი, 22 აგვისტო.

„**მ. ხ. ი. ბ. ახობაძევ!** წავიკითხე თქვენი განცხადება გაზეთ „ჩვენი გზა“-ში, რომ თქვენ კანტორაშიდ იყიდება სპერმატინი ლაბორატორიის ი. ნ. ივანოვისა. რომელშიც იყო აწერილი არჩენს რამოდენიმე ავათმყოფობას, ჩვენი ავათმყოფობა შემდეგია: ორი წელი ავათ ვარ ნერვების აშლილობით, გულის ფრიალით, სისუსტით, და ხშირათ გული მიწუხდებოდა, რევმატიზმებით ვიტანჯებოდი, წელის ტკივილი, და ძვლების ტეხვა, როდესაც მივიღე ოთხი შუშა თქვენი წამალი, გავხდი თავისუფალი, ყველა სატკივრებიდან, ამ წამლის მიღებამდე ბევრი ვიწამლე მაგრამ ამავოთ. კიდევ დიდს მადლობას გიძლევნი ბ. ი. ახობაძეს და ვიქნები მუდამ თქვენი მლოცველი ჩემი შველისათვის. ჩემი ადრესი, ქუთაისი და მისი უეზდი, სოფელი ვანშიდ, მცხოვრები ივანე ბალანჩივაძე.

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი“ ნ. ნ. ივანოვი და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის, ძმის ვ. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს კი, „პერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, და ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-დე 65 კ. შუა აზიაში ორჯერ ძვირია აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე. თფილისი, მოსკოვის ქუჩა, გვერსა № 4. **უბეროდ საქონელი არ იგზავნება.** (0—3)

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკის სახლი № 1.